თეიმურაზ სუმბათაშვილი

ამაო სჯა-ბაასი

თეიმურაზ სუმბათაშვილი

„ამაო სჯა-ბაასი“

ალექსანდრე ყაზბეგის სახელგანთქმული რომანის

ინსცენირება

გამომცემლობა „კენტავრი“
თბილისი
2023

დაკაბადონება და ყდის დიზაინი – ეკატერინე ოქროპირიძე

© თეიმურაზ სუმბათაშვილი
© Teimuraz Sumbatashvili

© იოსებ აბრამიშვილი
© Ioseb Abramishvili

ISBN 978-9941-8-5749-2

წინათქმა

„ამაო სჯა-ბაასს“ ვუძღვნი ჩემს მეგობარს სოსო აბრამაშვილს – მე, აღარ მახსოვდა, რომ ამ ინსცენირების დედააზრი მისთვის გამინდვია... კარგა ხნის შემდეგ მან მითხრა: მშვენიერი ჩანაფიქრი გქონდა, რატომ არ ახორციელებო! – აღარ მომეშვა, მკიცხავდა – ნუ ზარმაცობო! – ჩემი დაბადების დღეს, ათ აპრილს დავასრულე „ამაო სჯა-ბაასი“ – მე, ინსცენირების ავტორი, თეიმურაზ იოსების ძე სუმბათაშვილი, ჩემს იურიდიულ უფლებებს, ვუთმობ იოსებ გიორგის ძე აბრამაშვილს.

10.04.2023

„ამაო სჯა-ბაასი“

მოქმედი პირნი:

არაგვის ერისთავი

მოხევეთა ხევისბერი

ონისე – ხევისბერის ვაჟი

გუგუა – ონისეს ძმობილი

ოსი ბეჩირა

ოსი თორუყო

ლეკები – ერისთავის მეომრები

მესანგრე მოხევეები

შეიარაღებული მოხევეები

ხევისბერის მანდატურები

უხუცესი მოხევე

მსაჯული გერგეტის სამების საბჭოსი

არაგვის ერისთავი, სიკვდილს გადარჩენილ ლეკებთან ერთად, გარშემორტყმულია შეიარაღებული მოხევეებით.

ერისთავი – ხევისბერო, ჩემი დამარცხება გმირობად ჩაგეთვლება. წუხანდელი ომი გაილექსება, შენი სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა, მაგრამ, მე რას მიპირებ?.. ტყვე ვარ თუ თავისუფალი კაცი?..

ხევისბერი – ჩვენი თავი, ერისთავო, მეფემ შენ ჩაგაბარა, მისი სახელი გიფარავს, მოხევე მეფის წინ ხელს ვერ გასძრავს... მეფემ შეგაბა წელზე ხმალი, აბჯარიცა და ფარიც მანვე გიბოძა... შენს დატყვევებას როგორ გავბედავ... მოხევეები გიცავენ წუხელ დახოცილთა ძმებისა და ნათესავებისაგან – ქვებით ჩაგქოლავდნენ, ჩვენი შიში რომ არ ჰქონდეთ...

ერისთავი – სამასი ლეკი მახლდა, ოცდაათიღა შემომრჩა, სისხლი ვღვარეთ თქვენცა და ჩვენცა... შერისხე ეგ ხალხი, გონს მოიყვანე... წაასვენონ აქედან მკვდარი სახლიკაცები... ჩვენც შორიახლოს ნარ-ეკალი უნდა გავკაფოთ, დავმარხოთ გარდაცვლილი ლეკები...

ხევისბერი – სმენა იყოს და გაგონება!.. ნამუსის ქუდი გვხურავს – გული დავიმორჩილოთ!.. მიწის შვილები, მიწასვე მივაბაროთ...

ერისთავმა სასაუბროდ გამოიხმო ხევისბერი.

ერისთავი – ხევისბერო, მე, ბევრი რამ მსმენია შენს შესახებ, თითქმის ყველაფერი... შენ არ მიცნობ, მხოლოდ ის იცი, რომ არაგვის ერისთავად ვარ განწესებული... დღეს, ჩვენი სახელები საშვილიშვილოდ გადაეწნა ერთმანეთს – მინდა მოგითხრო ვინა ვარ, ვისი შვილი, შვილიშვილი, რა გადამხდენია სიჭაბუკიდან აქამომდე... წუხანდელმა ღამემ და დღევანდელმა დილამ,

ალბათ, ყირაზე დააყენა შენი ჭკვა-გონება... დღემდე, შენთვის ნათელი იყო ყოველივე, დღეს ბედ-იღბალმა გაჩვენა ის, რასაც ვერ იწინასწარმეტყველებდი... გამხნევდი, იყუჩე, მისმინე... ელდა გადაგივლის, დამშვიდდები – მზის ჩასვლამდე, უშეცდომოდ უნდა გაისარჯო...

ხევისბერი – შენი ბაგით, ერისთავო, ჭეშმარიტება ღაღადებს – ამ აზრს ვიღაც მკარნახობს, ალბათ, ჩემივე გუმანია ეგ ვიღაცა...

ერისთავი – ენდე, ხევისბერო, შენს გუმანს, არ გაგაწბილებს... ადრე, დიდი ხნის წინათ, ჩვენ, მაშინ დაბადებულებიც არ ვიყავით, მოხევეები სახნავი მიწებისა და საძოვრების მოსაპოვებლად, სახლდებოდნენ თერგის გადაღმა – იმ მხარეს, დღესაც, თაგაური ჰქვია – თაგაურიდან აქეთ, ქართლში, გადმოხვეწილა, ვინმე, სიდამონი, მხნე, ვარგი კაცი – დამკვიდრებულა პატარა ლიახვის ხეობაში, სოფელ ვანათში, შეუქმნია ძლიერი ოჯახი. მის მემკვიდრეებს სიდამონიძეობა გაუგვარა ქართლის მეფემ კონსტანტინემ და აზნაურობა უბოძა. სიდამონიძეთა გვარში, ყოველ პაპას და მის შვილიშვილს სიდამონს არქმევდნენ – პაპის შვილები იყვნენ ხან ვეფხვიები, ხანაც მგელიკები, ყოფილან ტურიკებიც, ძაღლიკებიც... ერთი სიდამონ სიდამონის ძე, კონსტანტინე მეფემ განაწესა არაგვისპირის მმართველად...

ამასობაში, ქართლს შემოესივნენ თურქები, ქართლელები დაამარცხეს, კონსტანტინე მეფე მოკლეს... კონსტანტინეს მემკვიდრე ყრმა იყო, ხუთიოდე წლისა, სიდამონმა დრო იხელთა, ამოხოცა თავადი ბაზლიძენი, გაბატონებულები არაგვის სანაპიროებზე – ამ თავადების საკუთრება იყო ტბაც, რომელსაც დღესაც ბაზალეთის ტბა ეწოდება. ამ ვერაგი სიდამონ სიდამონიძის შვილიშვილი ვარ მე – მამაჩემს, ღვთისნიერ

ადამიანს, ლომკაცი ერქვა... ჩემი ნამდვილი სახელი და გვარი, სიდამონიძეთა წესისამებრ, სიდამონ სიდამონიძეა. სამასი ლეკი, დუშეთში, ჩემს მამულში დავასახლე. ისინი თემთა ბელადების მეომრები არიან, მათ ბელადებს ძმად გავეფიცე სიჭაბუკეში.

არაგვის ერისთავი ვარ ვითომდაც, მაგრამ ამ სამასი ლეკის გარეშე, ვერც მთიულეთში, ვერც ფშავ-ხევსურეთში ვერ შევდივარ. ერთი თვის წინ, თქვენთან, ხევში რომ ამოველ, ეგენი მახლდნენ – შენ გეგონა საომრად ამოვედი... არც მეფეს ჩვენსას თეიმურაზს, არც მე, ხევის დაპყრობა, სათემო წესწყობილების მოშლა, ფიქრადაც არ მოგვსვლია... მაშინ, შევცდი, მკვახედ გითხარით, ჩემი სიტყვა დაუყოვნებლივ, უჭოჭმანოდ აღასრულეთ-მეთქი!.. შენ გგონია, მსტოვრები არა მყავს? – არ ვიცი, ხევში რა ხდება?.. მითხრეს, რომ, შეშფოთდით, სანგრები გათხარეთ, სადღეღამისო მორიგეობა დააწესეთ... ცხენებს ბანდულები შემოვახვიეთ ნალებზე, უხმაუროდ ამოვიპარეთ, დავბანაკდით, გამოცდილი მზვერავები ამოვგზავნეთ გერგეტში, ორი მოენე მომგვარეს, ორივე ოსი – ჯერ ამაყად ეჭირათ თავი, ვტანჯეთ, ვაწამეთ, ავალაპარაკეთ – თქვეს, რამდენი მოხევე იცავდა თითო სანგარს, როდის ეძინათ, როდის ფხიზლობდნენ... მინდოდა, უომრად ამეღო სანგრები – ვერ მოვახერხე – ერთ მესანგრეს ძილი განჰკრთომია, მთვარიანი ღამე იყო, დაგვინახა და გააღვიძა თანამებრძოლნი – ვიომეთ, სანგრები დავიპყარით, მამლის პირველ ყივილამდე მოთავდა ეს ამბავი, დაღლილ-დაქანცულები დავეყარენით სანგრებში, ძილი მოგვერია... შუაღამისას თავს დაგვესხნენ შენი მეომრები, დაგვამარცხეს!.. ხევისბერო, ჩვენი საქციელი, ჩვენვე განვსაჯოთ! – ცოდვილები ვართ მეცა და შენცა!..

ხევისბერი – ღმერთი დიდია და გულუხვი – თავის გაჩენილს არ გასწირავს... კაცი ისეთ ცოდვას ვერ ჩაიდენს, რომ-

ლის მონანიება შეუძლებელი იყოს – ღმერთს, მონანიე ცოდვილი, თავდაჯერებულ მართალზე მეტად უყვარს...

ერისთავი – ხევისბერო, მთვარიანი ღამე იყო-მეთქი, უკვე გითხარი, პირველი სანგარის შორიახლო ვიდექით, ცას შევყურებდით, გვინდოდა მაშინ დავძრულიყავით, როცა მთვარე ღრუბლებში გაეხვეოდა, ვხედავთ, ზემოდან ჩამორბის შეიარაღებული მოხევე, შევიპყარით, პირი ავუკარით, რომ არ ეყვირა, ოსებმა გვითხრეს ეს არის გერგეტელი გუგუა, ხევისბერის ვაჟის, ონისეს ძმობილიო – ეხლაც ჩემს კარავში გდია გათოკილი... ჩვენ გვეძინა დაპყრობილ სანგრებში, როცა მოხევეები შემოგვეჭრნენ – ვიბრძოლეთ თანაბრად, ხან ჩვენ გვწყალობდა ბედი, ხან იმათ. ნაროვანის ფერდობებიდან, არწივივით ჩამოფრინდა ახოვანი ყმაწვილი, დამიხოცა მეწინავე ლეკები, იომა ისე თავგანწირულად, რომ ლეკებს ელდა ეცათ. როცა გონს მოვიდნენ, ხმალი დააგდებინეს, ეცნენ, შებოჭეს – არ მოკლეს, მოეწონათ, კარგი ვაჟკაცი ყოფილაო! – ოსებმა თქვეს, ეს არის გუგუას ძმობილი ონისეო! – ჩაგზავნე შენი მანდატურები ჩემს კარავში, მოგიყვანენ ოსებსაც, გუგუასაც, ონისესაც.

მანდატურებმა ამოიყვანეს ოსები, გუგუა და ონისე. ხევისბერმა ხელი გაიშვირა სამების საბჭოს დარბაზისაკენ.

ერისთავი – ქსნის ხეობაში ერთი სოფელია, რომელსაც „ზანგურაშვილთა“ ჰქვია. ზანგურაშვილები თეთრკანიანი, ლოყაწითელი ვაჟები არიან, მამაცი, ძლიერი მეომრები. ზანგები, შავკანიანი ადამიანები, არაბების მეზობლად ცხოვრობენ უდაბნოში. ერთხელ, ზანგურაშვილებს ვკითხე, როგორ, რის გამო დაგერქვათ ზანგურაშვილები-მეთქი.

ვიეშმაკეთო, მითხრეს – გაწუწკებული ოსები გადმოლახავდნენ ხოლმე კავკასიონის ქედს, შემოიჭრებოდ-

ნენ ქსნის ხეობაში სათარეშოდ, არ გვიჭირდა მათი მოგერიება, მაგრამ, ერთმა ბრძენმა მოხუცმა შეგვახსენა: ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო! – შევიკერეთ ჭრელა-ჭრულა ტანსაცმელი, ღაჟღაჟა ლოყები ნახშირით გავიშავეთ.

გადმოვიდნენ ოსები, გაოცდნენ – ავი სულები ვეგონეთ, ეშმაკები! – გაიძურწნენ ხელცარიელები მივიდნენ ქედს იქით, თქვეს ქსნის ხეობაში ეშმაკის მხედრები, ზანგები დასახლებულანო – მას მერე, გაგვიგვარდა, ზანგურაშვილობაო! – ერთ მშვენიერ დღეს მეც გამოვიყენე მათი ხერხი – შაჰ-აბასის ნახევარძმას განუზრახავს შაჰის დამხობა, მისი ტახტისა და გვირგვინის მითვისება – სამი ათასი დიდებული მიიმხრო, აიყოლია თურმე... საჭურისებს შეუშინებიათ, შაჰმა იცის რასაც აპირებო – კახეთში გადმოხვეწილა თავის მომხრეებთან ერთად, ქართლის გავლით, ლიხს იქით გადასვლა სდომებია... ბაზალეთის მინდორზე გავუმასპინძლდი, ბანგიანი შარბათი ვასვი, მასაც, მის მეომრებსაც – დათვრა და ამაღამ აქ დავრჩებიო, მითხრა, გამოვიძინებ, დილით ლიხს გადავლახავ, მერეთის, სამეგრელოს, აფხაზეთის, ჯიქეთის გავლით ყირიმის სახანოში შევალ, ხანს ვეახლები ძღვენით, მოვხიბლავ, ვეყმობი – ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალიტი, ალმასები, ჩემი საოჯახო განძი, უკლებლივ გამოვიტაცე ისპაჰანიდან, ზღვისპირა მამულს შევიძენ, ვიცხოვრებ ლაღად, ბედნიერადო! – კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა, ნათქვამია! – სახე ნახშირით გავიშავე, შუაღამისას ამოვხოცე ყველანი, ხელის განძრევაც ვერ მოახერხეს... გათენდა.

ბრძოლის დროს, ღამე, ქედზე აჭრილან სპარსელები, რომლებსაც შარბათი არ უსვამთ, დამიწყეს ხვეწნა, შეგვიბრალე, ნუ მოგვკლავო. ალყაში მოვიქციეთ, კეტებით ვუმტვრიეთ კანჭები, იქვე დავტოვეთ სვავებისა და ყვავ-ყორნების საჯიჯგნად – დღესაც იმ ად-

გილს „კანჭის ქედს“ უწოდებენ!.. ქართლ-კახეთში ხმა დაირხა: სპარსელები, მუგუზალივით შავმა სარდალმა გაჟლიტაო! – სიტყვა „მუგუზალი“ თანდათან მოკლედ გამოითქვა – ნუგზარ! – მას მერე, ნუგზარ არაგვის ერისთავი დამერქვა, ჩემი ნამდვილი სახელი და გვარი აღარავის ახსოვს... ხევისბერო, შენ ალბათ, გგონია, ჩემი სიძის, გიორგი სააკაძის დახმარებით წავახდინე მტერი – არა!.. გიორგის მაშინ ჩემთვის არ ეცალა, შაჰ-აბასმა, აღმოსავლელი მეზობლების დასასჯელად გაგზავნა, ძალიან შორს... დიდძალი ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალიტი ხელში ჩავიგდე – ჩემმა წინაპარმა სიდამონმა ბაზლიძენი დახოცა, მაგრამ ისინი, ვინც გაექცნენ, დროთა განმავლობაში მომრავლდნენ და სოფელ ბაზალეთში მოიყარეს თავი – მათი მამასახლისი მოვიდა ჩემთან და ურცხვად განმიცხადა, მაგ განძის მეოთხედი ბაზლიძეებს უნდა დაუთმო, რადგან მათ მამულში მოიპოვეო! – მეოთხედს კი არა, ნახევარს მივცემდი, რომ დამხმარებოდნენ – გახვრეტილი შაურის ღირსებიც არ არიან, მომწყდი თავიდან-მეთქი, არ მომეშვა... ბაზლიძეებმაც შემაწუხეს, იმდენი ქნეს, რომ თავი შემომაკლეს. ვინც გადამირჩა, მთას შეაფარა თავი, თქვენთან ხევში ცხოვრობენ ეხლაც...

ხევისბერი – ერისთავო, ის რაც შენ ჩაგიდენია, ხალხმა, ექვსი სიტყვით უკვდავჰყო: ნუგზარ ერისთვის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო!

ერისთავი – სწორე გითხრა, არ ვიცი, ვერა ვხვდები, მაქებენ თუ მაძაგებენ...

ხევისბერი – არც გაქებენ და არც გაძაგებენ, ეშინიათ შენი!.. შოთას, რუსთველს, უცნაური რამა აქვს ნათქვამი: „შიში შეიქმს სიყვარულსაო!“

ერისთავი – ეჰ, ხევისბერო, ენას ძვალი არა აქვს – დიდი პოეტის ენა უძვლოა და გრძელი, მოუღლელი... მეც ენამრავალი გავხდი ამ ბოლო დროს, ეტყობა ვბერდები...

ხევისბერი – „მაგას ნუ ბრძანებ, ნუგზარო, ჯერ ვარდი არ დაგჭკნობია, შენი მცდელობა ავისა, სხვისი კარგისა მჯობია“... შენი ლეკებიც, ჩემი მოხევეებიც საძმო სამარხში განისვენებენ, მძიმე, მრავალხმიანი, მრავალხანიანი საგალობელიც ითქვა... შუადღეა, მზე შუბის ტარზე დადგა...

ერისთავი – მზე, მთვარე, ვარსკვლავები შენთანა, ხევისბერო! – თემი შემოგყურებს, ღმერთი დაგცქერის, ბეწვის ხიდზე გავლა მოგიწევს, კეთილად გევლოს, ზეცისკენ გეჭიროს თვალი, უფსკრულისკენ არ გაგექცეს...

ხევისბერი – ჩამოიყვანეთ ბეჩირა და თორუყო... თემის კაცნო, თქვენს წინ დგას ორი ოსი. ექვსი წელია მას შემდეგ, რაც ესენი ჩვენს თემობაში შემოვიდნენ, შეგვაბრალეს თავი და

შეგვატყობინეს, რომ თავიანთ ხალხში აღარ ეცხოვრებოდათ, რადგან კაცი შემოკვდომოდათ და სდევნიდნენ. კაცის შემოკვდომა უბედურებაა და ეს უბედურები ითხოვდნენ ჩვენგან ლუკმა პურს, თავშესაფარს... მივეცით ბინა, დავუთმეთ სახნავები, ვაცხოვრეთ მოსვენებით...

ლეკებმა ეგენი გაიტაცეს, მოენეები სჭირდებოდათ, ტანჯვაწამებას ვერ გაუძლეს და ალაპარაკდნენ, ვერ უერთგულეს თემს...

მოხევეები – ორნივ ჩაქვავდეს!..

ხევისბერი – თუ თქვენ გწამთ, ურყევად, მტკიცედ, რომ წამებას გაუძლებდით, არ შედრკებოდით, თემს უერთგულებდით – ჩაქოლეთ!..

ჩავქოლოთ! ჩავქოლოთ! – იგრიალა ხალხმა და ხელში ქვააღებული შემოეხვია ოსებს, ავარდა მტვერი ხალხის მოძრაობისაგან, გაისმა გრგვინვა, გრიალი, ქვების ჩახა-ჩუხი... ბოლოს

ხმაური შეწყდა. ხალხი გამოვიდა ავარდნილი კორიანტელისაგან, რომელიც ჰაერში ტრიალებდა... მოხევეებმა ზურგი უქციეს ქვა-ღორღის გროვას და პირჯვრის წერით განზე გადგნენ.

ხევისბერი – ჩამოიყვანეთ გუგუა და ონისე... გუგუავ, სთქვი თუ რაიმე სათქმელი გაქვს...

გუგუა – რა ვსთქვა, რა გითხრათ? – დამნაშავე არა ვარ, მაგრამ თავს ვერაფრით ვიმართლებ, უნდა დავისაჯო, უნდა მოვკვდე...

მსაჯული – მტრის ჯარში საიდან გაჩნდი?

გუგუა – გინდათ ყველაფერი მათქმევინოთ? – მაშ, კარგი... გამიგონეთ... მე მთიდან მოვდიოდი და მტერს შევეფეთე, გამოვიქეცი სანგარისაკენ, მაგრამ შემიპყრეს – არ მიღალატია თქვენთვის, მოწმე ღმერთია...

უხუცესი მოხევე – გუგუავ, სამების მხედარი იყავი, გერგეტის ფარი და ხმალი – მთიდან ყველი უნდა ჩამოგეტანა მესანგრეთათვის – პირველი სანგარის ქვევით რა გინდოდა, მტერს რანაირად შეეფეთე...

გუგუა – დამსაჯეთ, თუ მოღალატე გგონივართ, მაგრამ, რისი თქმაც არა მსურს, ვერ მათქმევინებთ...

ონისე – გუგუავ! – მე და შენ თავისუფალი მოხევეები აღარა ვართ! – გარემოებამ განსასჯელები გაგვხადა – თემსა და ხევისბერს ნაკისრები აქვთ ქმნა მართლისა სამართლისა! – შენმა სიჯიუტემ, შესაძლოა, აცდუნოს ისინი და მრუდე სამართალი აქმნევინოს...

ხევისბერი – ღმერთო, მოგვიტევე, თუ ვცდებით რაშიმე – ხევის მშვიდობიანობა მოითხოვს, რომ გუგუა გაწირული, მოშორებული იყოს თემისაგან, ყველას სახლი დახშული უნდა იყოს მისთვის...

ონისე – შესდექ, ხევისბერო! – გუგუა მართალია! – გუგუას და მე მიზეზი გვაქვს მოსისხლენი შევქმნილიყავით, ეგ ბილიკებზე იმად დაეშვა, რომ მე მოვეკალი – მოძმეთ ცოდო მე მაძევს კისერზედ, ჩემი ბრალია მათი გაწყვეტა, მე დავკარგე გონი, სანგარი ჩემს გამო დარჩა უმეთვალყუროდ – გუგუა უბრალოა!

უხუცესი მოხევე – ონისევ, გუგუას ძმობილი იყავ, მისი მეჯვარე, ძიძიას ხელისმომკიდე, რის გამო შეიქენით მოსისხლენი?

ონისე – მე, ნაროვანის ლოდებს იქით ვიყავ მიმალული, ზემოდან ვადევნებდი თვალყურს პირველ სანგარს... მთიდან ჩამომავალთა ფეხის ხმა მომესმა, ავიხედე – ქალსა და კაცს, ერთი დატვირთული სახედარი მოჰყავდათ, დასასვენებლად ქვაზე ჩამოჯდნენ – საუბრობდნენ ხმამაღლა, ჩემი სახელი ახსენეს, დავაკვირდი – კაცი იყო გუგუა, ქალი კი ძიძია... გუგუა ემუდარებოდა თავის ცოლს, ჩამოვდნი, დავიღალე შენის ლოდინით და შენი გული ვერ გალხვაო... რა ვქნაო, უპასუხა ძიძიამ, არ მიყვარხარ, ძალად ხომ ვერ შეგიყვარებო, თავი დამანებეო! – თავი როგორ დაგანებოო, იკივლა გუგუამ, ცოლი ხარ ჩემი, ცოლობა უნდა გამიწიოო! – ვერ ვიზამ მაგასო, სთქვა ძიძიამ – აკი გითხარ, არ მიყვარხარ-მეთქი... მაშ, ონისესი უნდა იქნეო? – ამოიკვნესა გუგუამ, მოვკლავ და მოგიტან მის მოჭრილ თავსაო! – რა შეგცოდა ონისემ, რას ექადნები? – უპასუხა ძიძიამ, – მე მომკალი და მოისვენეო! – მოგკლავ, მაშინ მოგკლავ, როცა ონისეს თავს ფეხქვეშ გაგიგორებო! – ამ სიტყვებით თავქვე დაეშვა... ძიძია მიუახლოვდა კლდის ნაპირს, უფსკრულში გადავარდნას აპირებდა, გავიქეცი, ხელი ჩავავლე და გულში ჩავიკარი... უმალ დავივიწყე რასაც ვეთაყვანებოდი: მზე, მთვარე, ვარსკვლავები, დედამიწა, გერგეტის სამება, ხევის ჯვარხატები, თემი, ხევისბერი... დრო კი არ გაჩერდა, გაქრა უკვალოდ... იჭექა თოფმა... დამაბრუნა ამ ტიალ წუთისოფელში...

ხევისბერი – წყეულიმც იყავ, წუთისოფლისაგან მოძულებული! – მოძმეთ სისხლი სამართალს ითხოვს – გადაწყვიტე თემო!

მსაჯული – ხევისბერო, შენ შვილს თემი არ გაუყიდია, ყმაწვილობას გაუტაცნია და თავდავიწყებაში ჩაუგდია.

ხევისბერი – მით უფრო მეტი საბუთია, რომ მკაცრად გადახდეს... მაგის სასჯელი ცეცხლში დაწვაა! – უნდა მოკვდეს, მოკვდეს შეუბრალებლად... და თუ თქვენ ვერ გაგიბედნიათ სამართლიანად მოქცევა, მე მიყურეთ! – მოძმეთ მოღალატე სიცოცხლის ღირსი არ არის!..

ხევისბერის ხანჯალმა იელვა და ონისემ მიწაზე ფართხალი დაიწყო. მამის მახვილს შვილისთვის გული ორად გაეპო... ხევისბერმა გასისხლიანებული ხანჯალი შორს გადასტყორცნა – თავბრუ დაესხა და ჩაიკეცა, დაეკონა მკვდარ შვილს – შვილო, შვილო, – წარმოსთქვა წყნარი ხმით. კარგა ხანს დასტიროდა ონისეს ცხედარს, ბოლოს წამოდგა...

ხევისბერი – სისხლი, ხანჯალი, შვილი, რა იქნა ჩემი შვილი?!..

ერისთავი – ჩაგიწყდა, ხევისბერო, ბეწვის ხიდი, შენი ტვირთი უფსკრულში ჩაინთქა... ეხლა, ბეღურაზე მჩატე ხარ...

ხევისბერი – მე შვილი მყავდა! – ღმერთო, სად არის ჩემი შვილი, სად?

დასასრული

დაიბეჭდა სტამბაში „კენტავრი“

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი
0102, თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 40

ISBN 978-9941-8-5749-2